

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას საგადახდო სისტემების დეპარტამენტის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

ფუნქცია-მოვალეობები:

- უმაღლესი განათლება (ფინანსების, ეკონომიკის ან საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში);
- ბანკში, ბარათების საპროცესინგო ცენტრში ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება, ტექნოლოგიური პროდუქტების განვითარების, დანერგვის ან მართვის სფეროში.
- სასურველია საგადახდო სისტემების და საგადახდო მომსახურების ძირითადი პრინციპებისა და წესების ცოდნა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა; სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა (Excel, Word, PowerPoint, Outlook), სასურველია Excel-ის მაღალ დონეზე ცოდნა.

ძირითადი მოთხოვნები:

- თანამედროვე საგადახდო სისტემების შესახებ ინფორმაციის შესწავლა;
- სწრაფი გადახდების სისტემის დანერგვის პროექტის ფარგლებში შემდეგ პროცესებში მონაწილეობის მიღება:
 - სხვა ქვეყნებში არსებული სისტემების შესწავლა;
 - სისტემის მიმართ მოთხოვნების განსაზღვრა;
 - ვენდორებისგან მიღებული წინადადებების განხილვა და ანალიზი;
 - სისტემის ტესტირება;
 - პროექტის განმავლობაში მონაწილეობთან პროცესების კოორდინაცია;
 - ექსპლუაციაში გაშვება.
- სწრაფი გადახდების სისტემის დანერგვის შემდეგ სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში მონაწილეობა;
- დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის მხარდაჭერა და ახალი ვერსიების ტესტირებებში მონაწილეობა;

კომპეტენციები:

- თვითგანვითარების სურვილი და სიახლეების ინიცირების უნარი;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კეთილსინდისიერება;

- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი;
- მიზანდასახულობა;
- სხარტი აზროვნება, მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზის და სისტემატიზირების უნარი;
- თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების და ინოვაციური სერვისების განვითარებისადმი ინტერესი.

თანამდებობრივი სარგო: განისაზღვრება კანდიდატის გამოცდილებისა და განათლების შესაბამისად.

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, **2019 წლის 6 ივნისამდე** CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება: **RTGS სისტემის მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი**